

**საჭადრაკო ფესტივალის „ხონი 2019“ ჩატარების დებულება**

**1. ფესტივალის მიზანი**

ფესტივალის ჩატარების მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში ჭადრაკის პოპულარიზაცია საუკეთესო მოჭადრაკეთა გამოვლენა და მათი წახალისება.

**2. ფესტივალის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობა**

ფესტივალის ორგანიზატორია ხონის მუნიციპალიტეტის მერია და ხონის ჭადრაკის ფედერაცია, ხოლო ტურნირების უშუალოდ ჩატარებას ხელმძღვანელობს მსაჯთა კოლეგია.

**3. ფესტივალის მონაწილეები , მათი რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი**

1. ფესტივალში მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები 6,8,10,12 წლამდე ასაკის ვაჟები და გოგონები;
2. ტურნირში დაიშვებიან: 6 წლამდე-2013 წლის, 8 წლამდე- 2011 წლის, 10 წლამდე - 2009 წლის, 12 წლამდე - 2007 წლის, პირველ იანვრის შემდეგ დაბადებულები;
3. ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდება ღია ტურნირი ქალებსა და მამაკაცებს შორის;
4. ფესტივალში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 2019 წლის 18 დეკემბრის 10.00 საათიდან.
5. სატურნირო შესატანის ოდენობა განისაზღვრება 15(თხუთმეტი) ლარით (დედ-მამიშვილებზე ერთი ბავშვი 10 ლარი).

**4. ტურნირის ჩატარების სისტემა , კვალიფიკაცია და წესები**

1. ტურნირი გაიმართება შვეიცარული სისტემით 7(შვიდი) ტურად, ფიდეს წესების გამოყენებით, ხოლო კენჭისყრა კომპიუტერული პროგრამით : Swiss Manager. სასტარტო სია და კენჭისყრის შედეგები განთავსდება: chess-results.com(GEO)
2. ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 10(ათი) წუთი ყოველ სვლაზე 10(ათი) წამის დამატებით;
3. თაი- ბრეიქი: ორი ან რამდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გადაწილდება: 1. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით); 2. ბუჰგოლცი ( ყველა მეტოქის ქულათა ჯამი); 3. პირადი შეხვედრა; 4. მოგების რაოდენობა; 5. პროგრესი(რეგრესი).

**5. ფესტივალის ჩატარების განრიგი**

ტური	დღე	დრო სთ
რეგისტრაცია	18-22 დეკემბერი	
I ტური	22 დეკემბერი	11:00
II ტური	22 დეკემბერი	11:50
III ტური	22 დეკემბერი	12:40
IV ტური	22 დეკემბერი	13:30
V ტური	22 დეკემბერი	14:20
VI ტური	22 დეკემბერი	15:10
VII ტური	22 დეკემბერი	16:00
დახურვა	22 დეკემბერი	18:00

**6. გამარჯვებულთა დაჯილდოვება**

+, ++ და +++ ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

**7. ფესტივალის დაფინანსება და ხარჯები**

1. ფესტივალის დაფინანსების წყაროა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები და მონაწილეთა მიერ გადახდილი სატურნირო შესატანი;
2. ფესტივალის სახსრები უნდა ჩაირიცხოს სს „ საქართველოს ბანკი“-ში გახსნილ ხონის ჭადრაკის ფედერაციის ანგარიშზე (GE68BG000000130014700, საინდენტიფიკაციო კოდი: 400218037).
3. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინონ ან გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი, ხონის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი; ინგა ხურცილავა: -ელ.ფოსტა [ikhurtsilava@mail.ru](mailto:ikhurtsilava@mail.ru); ტელ: 555 220 927